საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 6 23 0000545129

16/05/2023

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "კავკასიოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისაკრედიტაციისმინიჭების შესახებ

1.გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1.„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27^{6}-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან “ან„ არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.5 აკრედიტაციის დებულების 27^{5}მე-7^{1}პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2.აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1.სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2023 წლის 10 იანვრის №84/01-06-03 წერილით (ცენტრში რეგისტრაციის - №11623 და №15945, 11/01/2023) წარმოდგენილია სააკრედიტაციო განაცხადი ,,კავკასიოლოგიის“ საბაკალავრო და ,,კავკასიოლოგიის“ (რუსულენოვანი) საბაკალავრო, ,,კავკასიოლოგიის“ სამაგისტრო და ,,კავკასიოლოგიის“(რუსულენოვანი) სამაგისტრო, ,,არმენოლოგიის“ საბაკალავრო“, ,,ებრაისტიკის“ საბაკალავრო, ,,ასირიოლოგიის“ საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერული აკრედიტაციის თაობაზე.

2.2. ცენტრის 2023 წლის 12 იანვრის №18957 ბრძანების საფუძველზე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის 2023 წლის 10 თებერვლის №158375 ბრძანებით შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2023 წლის 28 თებერვალს, 01 და 02 მარტს განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი უნივერსიტეტში. აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			
3. სტუდენტთა მიღწევები,				

მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		√		

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.
2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2023 წლის 28 აპრილს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა შეფასება და რეკომენდაციები. კერძოდ, დაამატა რეკომენდაცია 2.1 კომპონენტში. თუმცა, აღნიშნულმა არ გამოიწვია მე-2 სტანდარტის შეფასების ცვლილება. ასევე, მე-5 სტანდარტი ნაცვლად ,,მეტწილად შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც ,,შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

3.სარეზოლუციო ნაწილი
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^{2}მუხლის პირველი პუნქტის, 27^{5}მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^{6}მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,აკრედიტაციის საბჭომ 14 ხმით არცერთის წინააღმდეგ

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ "კავკასიოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

1. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ,,კავკასიოლოგიის“ საბაკალავრო და ,,კავკასიოლოგიის“ (რუსულენოვანი) საბაკალავრო, ,,კავკასიოლოგიის“

სამაგისტრო და ,,კავკასიოლოგიის“(რუსულენოვანი) სამაგისტრო, ,,არმენოლოგიის“ საბაკალავრო“, ,,ებრაისტიკის“ საბაკალავრო, ,,ასირიოლოგიის“ საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).

2. ცნობილ იქნას საბჭოს 2023 წლის 16 მაისის №544968 სხდომის ოქმის №06 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
3. საბჭომ ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები განსაზღვრა შემდეგნაირად:

რეკომენდაციები:

1. მნიშვნელოვანია თსუ- ში განხორციელდეს წესი „საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების ჩამოყალიბება და შეფასება“- ყველა პროგრამის შემთხვევაში; აუცილებელია სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნების განსაზღვრა და სწავლის შედეგების შეფასების გეგმის შემუშავება, რომელმაც უნდა აჩვენოს დავალების ტიპები, როდის უნდა შესრულდეს, ვის მიერ, რა რაოდენობის სტუდენტებისთვისაა განკუთვნილი. როგრამის თითოეული სწავლის შედეგი შეფასდება.
2. მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა იცოდეს, რომელი სასწავლო კურსები და სხვა აქტივობები გამოიყენება პროგრამის სწავლის შედეგების დანერგვის, გაღრმავებისა და განმტკიცებისთვის და როგორ განისაზღვრება მიზნობრივი ნიშნები.
3. დაშვების წინაპირობები მოვიდეს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში.
4. პროგრამის გარე შეფასება პერიოდულად უნდა განხორციელდეს და შეფასების შედეგები იქნას გამოყენებული.

რჩევები:

1. მოცემული პროგრამების ხელმძღვანელებთან მჭიდრო თანამშრომლობით, თსუ- ს ადმინისტრაციამ შეიძლება განიხილოს ძალების გაერთიანება და პროგრამებს შორისი კომუნიკაციის გაძლიერება „ჰუმანიტარული აღმოსავლეთმცოდნეობის“ ერთობლივი საბაკალავრო პროგრამის დაარსებით, რეგიონული ძირითადი და დამატებითი პროგრამებით, რომელიც მოიცავს რეგიონულ სპეციალიზაციას. ამრიგად, ამ „პატარა საგნების“ სპეციფიკური გამოცდილება შეიძლება გამოყენებულ იქნას მათი დისციპლინების მიღმა და ხელი შეუწყოს როგორც ინდივიდუალური პროგრამების როლის დაზუსტებას როგორც სტრატეგიულ განვითარებაში, ასევე ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის დონეზე.
2. 2.სერიოზული ყურადღება უნდა დაეთმოს ინტერნაციონალიზაციის კონცეფციის შემუშავებას, რომელიც აძლიერებს უცხო ენების კურსებს და გულისხმობს ლექტორების საზღვარგარეთიდან ჩართვას, ერთობლივი პროგრამის შემუშავებას უცხოურ პარტნიორ დაწესებულებებთან, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას სტუდენტთა და სასწავლო მობილობისთვის (ERASMUS, DAAD, ისრაელი და ა.შ.). ეს ასევე მოიცავს ინგლისური ენის კურსების მომზადებას საერთაშორისო სტუდენტების მაგისტრატურაზე მოსაზიდად.
3. დაწესებულებამ განიხილოს ინსტიტუციონალიზებული გამოცდილების გაზიარება მოქმედი „პროგრამის განვითარების საბჭოებს“ შორის პროგრამის ყველა დაინტერესებული მხარის აქტიური ჩართულობით, შესაძლოა წელიწადში ორჯერ, ყოველი სემესტრის ბოლოს და გაითვალისწინოს გამოცდილება და გაკვეთილები ინსტიტუციური სწავლისა და პროგრამებისა და კლასტერის უწყვეტი გაუმჯობესებისთვის.

4. თუ გავითვალისწინებთ თანამედროვე საკითხების ცოდნაზე და გამოსაყენებელ უნარებზე (დასაქმებაზე) გაკეთებულ აქცენტს, ინტერდისციპლინური მიდგომება სფეროზე ორიენტირებულ პროგრამებში ცალსახად უნდა იყოს გამოკვეთილი და ცალკე განხილული სასწავლო გეგმებში. ისი ეპისტემოლოგიური მნიშვნელობის გამო, ეს შეიძლება გაკეთდეს ერთობლივად, ყველა მონაწილე პროგრამის მიერ.
5. თსუ- ის ადმინისტრაციამ და პროგრამების ხელმძღვანელებმა უნდა დაადგინონ ამ კლასტერის პროგრამებს შორის სწავლის შედეგების პოტენციური სინერგია, რათა გაძლიერდეს მათი შიდა თანმიმდევრულობა (მაგ. ყველა სფეროსთან დაკავშირებული სასწავლო გეგმების ინტერდისციპლინურობის საკითხების განხილვა).
6. მიზანშეწონილია, რომ ინფორმაცია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შესახებ იყოს დოკუმენტირებული ისე, რომ გაადვილდეს მიღებული გამოცდილების გამოყენება.
7. პარტნიორ ორგანიზაციებთან მემორანდუმებზე დაყრდნობით, თსუ-ის ადმინისტრაციამ პროგრამის შეფასების და რეკლამირების მიზნებით დოკუმენტურად უნდა დაადასტუროს პროგრამების მიხედვით რომელი და რამდენი საგანმანათლებლო პრაქტიკა და სტაჟირება გაიარეს სტუდენტებმა (შედეგების დამოწმება).
8. განხილულ იქნეს მასწავლებლის ადმინისტრაციული და პედაგოგიური მხარდაჭერა სწავლებისა და სწავლის ინოვაციური მეთოდების დანერგვისას, განსაკუთრებით მცირე სტუდენტური ჯგუფებისთვის (დიზაინ-აზროვნების პროცესი, პროექტზე დაფუძნებული სწავლება, კვლევაზე დაფუძნებული სწავლება, ციფრული ინსტრუმენტების გამოყენება და ა.შ.)
9. სასურველია პროგრამებში ჩართული აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მეტი ინსტიტუციური მხარდაჭერა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობისა და დარგის ასოციაციებთან თანამშრომლობის კუთხით.
10. სასურველია, თვითშეფასების ანგარიში იყოს უფრო ინფორმატიული და მოიცავდეს ინფორმაციას რეალურად განხორციელებული აქტივობების შესახებ, რაც დადასტურდა ინტერვიუს შედეგებით.
11. მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა აქტიურად გამოიყენოს არსებული თანამშრომლობა ადგილობრივ და უცხოურ უნივერსიტეტებთან ან/და დაამყაროს ახალი პარტნიორული ურთიერთობები პროგრამების გარე შეფასების მიზნით.
12. პროგრამის გაუმჯობესების მიზნით მიზანშეწონილია პროგრამის შედეგების კომპლექსური ინდიკატორების გამოყენება და პროგრამის ეფექტურობის შეფასება არა მხოლოდ რეაკრედიტაციისთვის მომზადების პერიოდში, არამედ პროგრამის განხორციელების პროცესში სისტემატურად. ასევე, რეკომენდებულია მიღებული შედეგების დოკუმენტირება. ს იძლევა შესაძლებლობას შევადაროთ სხვადასხვა პერიოდში მიღებული ინფორმაცია და შევისწავლოთ ცვლილებების დინამიკა.
13. სასურველია, თითოეული პროგრამისთვის შემუშავდეს შეფასების გეგმა (სქემა), რომელშიც მითითებული იქნება შეფასების ასპექტი, შეფასების სიხშირე, შეფასების მეთოდები, შეფასების პროცესში მონაწილეები და ა.შ.
14. სასურველია გაუმჯობესდეს დამსაქმებელთა და არააფილირებული სპეციალისტების ჩართულობა პროგრამის შემუშავებისა და გარე შეფასების პროცესში.
15. უფრო ერთიან კონტექსტში პროგრამები შეიძლება კიდევ უფრო გამდიდრდეს და გაძლიერდეს, თუ საგნები, მასალები და დასკვნები, რომელიც მოპოვებულია კავკასიის წინა და ანტიკური ისტორიისა და არქეოლოგიის თანამედროვე კვლევებიდან, ჩართული იქნება ისტორიის მოდულში. ის კიდევ უფრო მეტ მრავალფეროვნებას შეიძენს, თუ მასში სათანადოდ იქნება წარმოდგენილი თანამედროვე გენეტიკური, დემოგრაფიული ანატომია, ონომასტიკა, ტოპონიმიკა (უფრო მეტიც, უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ონომასტიკური კვლევითი ცენტრი).
16. ასევე სასურველია, რომ მომავალში, წარმოდგენილი პროგრამების საფუძველზე, თანდათან განვითარდეს კავკასიოლოგიის ინგლისურენოვანი პროგრამა (მინიმუმ

მაგისტრატურის საფეხურზე), რათა დაინტერესებულმა პირებმა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან გაიარონ კავკასიის მეცნიერებათა სპეციალიზაცია თსუ- ში, როგორც კავკასიის უძველეს უნივერსიტეტში.

17. სასურველია, აღნიშნულ მოდულს მომავალში დაემატოს ისეთი საგნები, როგორიცაა - "აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფია", „აფხაზეთის დემოგრაფიული ანატომია“ და „აფხაზეთის ტოპონიმიკა და ონომასტიკა“. ანალოგიურად, სადაც მასალების რაოდენობა ამის შესაძლებლობას იძლევა, ის საგნები, რომლებიც მიმართულია ოსების, ვაინახების, ჩერქეზებისა და კავკასიის სხვა ხალხების ისტორიისა და კულტურის შესასწავლად, შეიძლება დაიყოს. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, არის მხოლოდ არასავალდებულო რჩევები და კეთილი სურვილები, რომლებიც მივიღეთ ამ პროგრამების გაცნობისას.

4. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2023 წლის 28 აპრილს.

5. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რატიანი რატი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კავკასიოლოგია/ Caucasiology
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№ 187, 28.10.11
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	კავკასიოლოგია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	კავკასიოლოგიის ბაკალავრი Bachelor of Caucasiology
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0239 ენები- არაკლასიფიცირებული Languages(Humanities with languages) not elsewhere classified
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	თსუ I კორპუსი (ი. ჭავჭავაძის გამზ. №1), VIII კორპუსი (ი. ჭავჭავაძის გამზ. №13)
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	
16	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2023 წლის 28 აპრილი
17	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[1]	-
18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2030 წლის 29 აპრილი

[1]დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[2]ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია;
[3] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[4] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[5] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[6] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[7] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი
[8] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში